

## სამოქმედო გეგმა

ჩემს მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა ეფუძნება: საქართველოს კანონს "უმაღლესი განათლების შესახებ", აგრეთვე ქვეყნის სხვა საკანონმდებლო აქტებით უმაღლესი განათლების სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესასრულებლად უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (European Association for Quality Assurance in Higher Education) მიერ შემუშავებული სტანდარტებისა და მითითებების, ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიას, მისიას და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებას.

### ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცედურები

- სწავლისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა - ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში. რეკომენდაციების შემუშავება არსებული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი სრულყოფის მიზნით.
- ხარისხის უზრუნველყოფაში გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაძლიერება.
- პერსონალის პროფესიული ზრდის ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.
- აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების შესრულების ანგარიშების მომზადება და წარდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
- არსებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.
- უცხოენოვანი პროგრამების დაგეგმვა/განვითარების ხელშეწყობა.
- საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსების და სასწავლო მასალების განახლების მონიტორინგი.

- პროფესიული მოდულური პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა.

### **აკადემიური/მოწვეული და მასწავლებელთა პერსონალის ხარისხის უზრუნველყოფა**

მასწავლებლის როლი არსებითია მაღალი ხარისხის სტუდენტური გამოცდილების მიღებასა და ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შექმნაში. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას პირველადი პასუხისმგებლობა აკისრია საკუთარი თანამშრომლების ხარისხსა და მათთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნაზე, რაც მათ საქმიანობის ეფექტურად განხორციელების საშუალებას მისცემთ.

- ახალი სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტების პერიოდულად გაცნობა აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის.
- სასწავლო პროგრამების საერთაშორისო პროგრამული აკრედიტაციის და სწავლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.
- უცხოელი პროფესორ - მასწავლებლების სასწავლო პროცესში ჩართვა.
- სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, რათა გაძლიერდეს კავშირი განათლებასა და კვლევას შორის.
- მხარდაჭერა და შესაძლებლობების შექმნა პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის.
- სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა (ტრენინგ კურსების ორგანიზება).

### **პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება**

*პროგრამების მონიტორინგის და პერიოდული შეფასების განხორციელება, რათა უზრუნველყოფილ იქნას დაგეგმილი მიზნების მიღწევა და მოხდეს რეაგირება სტუდენტებისა და საზოგადოების საჭიროებებზე. ამ პროცესის დაგეგმილი ან განხორციელებელი ნებისმიერი აქტივობა უნდა ეცნობოს ყველა შესაბამის მხარეს.*

- სასწავლო პროცესის სისტემატიური მონიტორინგი: ლექციებზე, სემინარებზე, პრაქტიკულებზე და სხვა აქტივობებზე დასწრება/დაკვირვება.

- სტუდენტების შეფასების პროცედურების ეფექტურობა;
- საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში სტუდენტების მოლოდინები, საჭიროებები და კმაყოფილება;
- სასწავლო გარემო და სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები და მოცემული პროგრამის მიზნებთან მათი შესაბამისობა.
- ხარისხის უზრუნველყოფა

შიდა ხარისხის შეფასება - პროგრამაში ჩართული პერსონალთან თანამშრომლობა პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და ამ შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალის გამოკითხვები. გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები;

გარე ხარისხის შეფასება - პერიოდულად ხდება ხარისხის გარე უზრუნველყოფა. დამსაქმებლები, სხვა უნივერსიტეტები, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში პროგრამების მოყვანა.

- პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება - პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგების გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
- კოლეგიალური შეფასების დასკვნების შემოღება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.
- პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
- და ყველა ამ შედეგების გათვალისწინებით პროგრამის გაუმჯობესება და (საჭიროების შემთხვევაში) პროგრამის მოდიფიცირება.

### სასწავლო რესურსების გავითარება

- უნივერსიტეტში სწავლების ელექტრონული ფორმით წარმართვის ხელშეწყობა.

- ელექტრონული სასწავლო პლატფორმის განვითარების ხელშეწყობა.
- ელ-სწავლების სისტემის გამოყენების ინსტრუქციების შექმნა და ტრენინგების ჩატარება (ყველა წამყვანმა პროფესორმა რომ შეძლოს სისტემაში მუშაობა).
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ელექტრონული სისტემის შემუშავება და პილოტირება.
- შეზღუდული შესაძლებლობების სტუდენტებისათვის სწავლების მეთოდის დანერგვა და განვითარების ხელშეწყობა.

### სტუდენტების მხარდაჭერა

- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, სწავლება და შეფასება.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა და სწავლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტის მოტივაციის, თვით-რეფლექციისა და სასწავლო პროცესში ჩართულობის სტიმულირებაში.

- სტუდენტების მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და მოდიფიცირების, მათი სრულყოფის პროცესში.
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და დასწრების ანალიზი - მიმდინარე შეფასებები, დასკვნითი შეფასებები, სემესტრის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება.
- სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვა და ანალიზი. შეფასების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტის ელექტრონულ სისტემაში სტუდენტების მხრიდან ლექტორის და კურსის ანონიმური შეფასება. ელექტრონული სახით სტუდენტების გამოკითხვა ყოველი კურსის ბოლოს (ანონიმურად ლექტორის/კურსის შეფასება) და ამ გამოკითხვის საფუძველზე რეკომენდაციების მომზადება.

*ლექტორის შეფასების ფორმა შეთანხმებული იქნება აკადემიურ პერსონალთან.*

- სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე სასწავლო პროცესის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის

შემდგომი სრულყოფისათვის რეკომენდაციების შემუშავება და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისათვის წარდგენა.

- ალუმნის ელექტრონული ბაზის შექმნა კურსდამთავრებულებთან მუდმივი კონტაქტი მიზნით. კურსდამთავრებულთა გამოკითხვების შედეგების ანალიზი.

### **ინფორმაციის მენეჯმენტი**

მონაცემების შეგროვება არსებითად მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მისაღებად და ასევე იმის გასაგებად, თუ რა მუშაობს კარგად და რას სჭირდება ყურადღების მიქცევა. საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი ეფექტურს ხდის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემას.

*მნიშვნელოვანია სტუდენტებისა და თანამშრომლების ჩართულობა, როგორც ინფორმაციის მიწოდებასა და ანალიზში, ასევე შემდგომი საქმიანობის დაგეგმვაში.*